ნინი გაბაძე

კავკასიის ბიზნესის სკოლა

ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა

ტუშას უნივერსიტეტი, იტალია

Erasmus+ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, 2024 წლის შემოდგომის სემესტრი იტალიაში, ტუშას უნივერსიტეტში, გავატარე. პასუხის მიღებისას მთელი ოჯახი ჩემს წასვლაზე იყო ორიენტირებული და ერთად ვემზადებოდით. ახლა კი შემიძლია ვთქვა თუ რამდენად იდეალური გამოცდილება იყო ეს ჩემთვის. ტუშაში შევძელი რომ ისეთი თვისებები ჩამომეყალიბებინა, რომლებიც მომავალში გამომადგებოდა. გავხდი გაცილებით უფრო დამოუკიდებელი და ჩემს თავში დარწმუნებული. მივიღე განათლება ისეთ საგნებში რომლებშიაც უდიდესი შრომა ჩავდე, ვიურთიერთე პროფესიონალებთან და გავიჩინე უამრავი მეგობარი. მათთან დღესაც ვკონტაქტობ და ისინი საქართველოში ჩამოსვლასაც აპირებენ. შეგუებაში კი სწორედაც რომ კავკასიის უნივერსიტეტი დამეხმარა, რომელიც გვერდზე მედგა ყველა ჩემი გადაწყვეტილების მიღებისას და მეხმარებოდა პრობლემების მოგვარებაში.

მიხარია რომ ამ პროგრამით ასეთი ლამაზი და შთამბეჭდავი გამოცდილება მივიგე. ეს 5 თვე დამამახსოვრდება როგორც ერთ-ერთი საუკეთესო მოგონება და აუცილებლად დავბრუნდები იტალიაში, კონკრეტულად ვიტერბოში.

ეს გადაწყვეტილება შესაძლოა ერთ-ერთ საუკეთესო გადაწყვეტილებად ჩავთვალო, ვინაიდან იტალიიდან დავბრუნდი უკეთესობისკენ შეცვლილი. მინდა მოვუწოდო ყველა სტუდენტს რომ ეს გამოცდილება მიიღონ!